სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

71021629959720

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200534686

რეგისტრაციის თარიღი

10.08.2020 წ

ნოტარიუსი: შორენა ხაინდრავა
მისამართი: ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18
ტელეფონი: 2725342

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცი წლის ათ აგვისტოს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18**, მომმართა **შპს «ახალი ჯგუფი»-ს დირექტორმა გიორგი გოშხოთელიანმა** (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის №B16147863, ს/კ 405158877, ამონაწერის მომზადების თარიღი 07/11/2016). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გიორგი გოშხოთელიანმა** (დაბ. 03.01.1984წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ს. ცინცაძის ქ. №2 ბ.11, პირადი №01026007472) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე მას, განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ მან თავადაც წაიკითხა მინდობილობის ტექსტი განაცხადა, რომ ის ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს «ახალი ჯგუფი»-ს დირექტორი გიორგი გოშხოთელიანი** ვანიჭებ **ავთანდილ ლომსაძეს** (პირადი №01019015694) უფლებამოსილებას, იყოს ჩემი წარმომადგენელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში და განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება ქ. თბილისში მოსკოვის გამზირი №31-ში (ს/კ 01.17.11.006.040) არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ავტოსამრეცხაოს შენობის არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად, მშენებლობის ნებართვის მისაღებად და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მისაღებად.

მინდობილობა გაცემულია ხუთი თვის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
2. წესდება ხელისაწვდომია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის საიტზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.7-ის თანახმად), დღგ - 1.80 ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მ.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

შპს «ახალი ჯგუფი»-ს დირექტორი
გიორგი გოშხოთელიანი ----------

ნოტარიუსი ---------- შორენა ხაინდრავა